გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 23 აპრილის №833 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის
ოქმი №139

2022 წელი 26 სექტემბერი

ქ. გურჯაანი

სატენდერო კომისიის შემადგენლობა:

ზურაბ უტიაშვილი - კომისიის თავმჯდომარე, მერი;

წევრები:

კონსტანტინე ბერიძიშვილი - ეკონომიკის სამსახურის უფროსი;
რამაზი ქიტიაშვილი - მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
ნატო გონგაძე - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
ნანა ჭაბუკაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი;
ხვიჩა სიმონიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შ;
გიორგი ყვირალაშვილი - ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მ/შ;
გოჩა ნაცვალაშვილი - მერის მრჩეველი;
ნინო ქაჩლიშვილი - ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი;
მარიამი ბაზერაშვილი - მერის მრჩეველი;

სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა:

ნინო სტეფნაძე - ეკონომიკის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი;
ბიჭიკო მაისურაძე - ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

სხდომას არ ესწრებიან კომისიის წევრები ნინო ქაჩლიშვილი და ნატო გონგაძე.

დღის წესრიგი:

ელექტრონული ტენდერის საშუალებით **სოფელ ახაშენში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების** შესყიდვის სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცება.

კომისიამ განიხილა:

სატენდერო კომისიამ განიხილა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის #03-9022266133 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე მომზადებული სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი და იმსჯელა საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის #2311 განკარგულების საფუძველზე ერთი სახელმწიფო შესყიდვის ფარგლებში 200000 (ორასი ათასი) ლარის სამშენებლო სამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში შესყიდვის შესახებ. სამუშაოების მიწოდების ვადა წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათით 60 (სამოცი) კალენდარული დღეა. შესყიდვის სავარაუდო ღირებულების დადგენის მიზნით ჩატარებული იქნა ბაზრის კვლევა. განსაფასებელი ხარჯთაღრიცხვა ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაეგზავნა ხუთ პოტენციურ მომწოდებელს. განფასებული ხარჯთაღრიცხვა წარმოადგინა ორმა მიმწოდებელმა. ბაზრის კვლევის შედეგად შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **110330 ლარს** (დღგ-ს გათვალისწინებით), რაც არ აღემატება მოკვლეული ფასების საშუალო არითმეტიკულს. სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით ბაზრის კვლევისას გათვალისწინებულ იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილება. კერძოდ, 2022 წლის სახსრებით წყალმომარაგების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობდა ანალოგიური საკვალიფიკაციო მონაცემების მქონე ოთხ პრეტენდენტზე მეტი. კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ სატენდერო დოკუმენტაციის პროექტი შეესაბამება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნებს. კენჭისყრის შედეგად (8 მომხრე, არცერთი წინააღმდეგი) კომისიამ დაადგინა

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს ელექტრონული ტენდერის საშუალებით **სოფელ ახაშენში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოების** შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია, სავარაუდო ღირებულებით 110330 ლარი (დღგ-ს გათვალისწინებით). სამუშაოების მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების

გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღით, ხოლო სატენდერო წინადადების შეთავაზების ფასის კლების ბიჯი - 1100 ლარით.

2. „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-2 პუნქტის საფუძველზე ელექტრონული ტენდერი ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით - NAT.

3. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 21 დეკემბრის #2311 განკარგულების საფუძველზე სამუშაოების შესყიდვა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების კანონის“ 15[1] მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ვადაში.

4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სისტემაში ელექტრონული ტენდერის გამოცხადება.

კომისიის თავმჯდომარე: ზ. უტიაშვილი

წევრები:

კ. ბერიძიშვილი

რ. ქიტიაშვილი

ნ. ჭაბუკაძე

ხ. სიმონიშვილი

გ. ყვირალაშვილი

გ. ნაცვალაშვილი

მ. ბაზერაშვილი

სატენდერო კომისიის აპარატი:

ნ. სტეფნაძე

ბ. მაისურაძე